

## **„შეხვედრა აფხაზეთის საბაჟო კომიტეტში“**

ოკუპირებული აფხაზეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტში რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლის ვლადიმერ ნეკრასოვსა და დე-ფაქტო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის დაურ კობახიას შორის ე.წ. სამუშაო შეხვედრა შედგა.

შეხვედრის მსვლელობისას რუსეთის ფედერაციიდან არაღიარებულ რესპუბლიკაში შესატანი საქონლის საბაჟო ტარიფების რეგულირებაზე ისაუბრეს. აგრეთვე შეეხნენ საბაჟო პუნქტების მდგომარეობის და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხს.

ამის გარდა, ისაუბრეს რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე მოძრავი ტვირთების საბაჟო დოკუმენტაციის გამარტივების გეგმებზე.

---

26.06.2017 АПСНЫПРЕСС <http://www.apsnypress.info/news/v-gtk-ra-obsudili-voprosy-tamozhennogo-oformleniya-rossiyskikh-tovarov/>

## **„რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულება“**

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებით, რუსეთის პრეზიდენტთან არსებული, დსთ-ს ქვეყნებთან, არაღიარებულ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებში სამმართველოს დეპარტამენტის ხელმძღვანელად 1990 წელს დაბადებული ინალ არძინბა დაინიშნა, რომელიც მანამდე, დსთ-ს ქვეყნების საკითხებში, რუსეთის პრეზიდენტის სამმართველოში მთავარი მრჩეველის თანამდებობას იკავებდა.

ინალ არძინბა 2012 წლიდან აქტიურადაა ჩართული რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის ხელმძღვანელობდა რუსეთის ახალგაზრდულ დელეგაციებს ვაშინგტონში, ლონდონში. 2014 წლიდან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობდა.

მიმდინარე წელს, ინალ არძინბა ევრაზიის ქვეყნების, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ახალგაზრდა ლიდერთა ტოპ რეიტინგში შევიდა.

---

26.06.2017 sputnik-abkhazia <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170626/1021332586/inal-ardzinba-naznachen-nachalnikom-departamenta-administracii-prezidenta-rf.html>

## **„სოხუმში ჟენევის დისკუსიების მე-40 რაუნდის შედეგებზე ისაუბრეს“**

ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ ბრიფინგი გამართა, რომელზეც ჟენევის დისკუსიების მე - 40 რაუნდის შედეგები განიხილა. ე.წ. მინისტრმა აღნიშნა, რომ ამჯერად მხარეები, ძალიან ახლოს იყვნენ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ერთობლივი განცხადების მიღებასთან, თუმცა, ქართულმა მხარემ ბოლო მომენტში გადაწყვიტა ეს საკითხი შემდეგი რაუნდისთვის გადაედო. მან ასევე განაცხადა, რომ შეხვედრაზე უსაფრთხოების, მოქალაქეთა გადაადგილების, საკონტროლო გამშვები პუნქტების დაკეტვის და სხვა საკითხები განიხილეს.

დაურ კოვემ აღნიშნა, რომ აფხაზეთში დელეგაციამ შეშფოთება გამოთქვა ნატო - საქართველოს ერთობლივ სწავლებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მსგავსი ღონისძიებები ზრდიან დაძაბულობას რეგიონში და ხელს უშლიან სამშვიდობო პროცესებს.

არაღიარებული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილის ბატალ კობახიას თქმით, ქართული მხარე ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობის, ასევე აფხაზეთის ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციაში ჩართვას ითხოვდა, რაც მისი აზრით შეუძლებელია, რადგან, „კულტურული მემკვიდრეობის ყველა ობიექტი აფხაზი ხალხის მონაპოვარია და ჩვენ

არავის მივცემთ უფლებას გამოყოს რომელიმე მათგანი, და თქვას, რომ ეს ქართული ან ბერძნული არქიტექტურაა“

ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი 10- 11 ოქტომბერს გაიმართება.

---

26.06.2017 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=5138>

### **„აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა ინვესტპროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა“**

ოკუპირებული აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა ქ. გუდაუთაში სამუშაო ვიზიტით ყოფნისას გაფართოებული თათბირი ჩაატარა, რომელზეც 2017-2019 წლებში საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება განიხილეს.

სამუშაო თათბირის გახსნისას გუდაუთის რაიონის ე.წ. ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი, როგორც ქალაქში ასევე გუდაუთის რაიონის სოფლებში.

ბესლან ბარციცმა თათბირზე მყოფთ შეახსენა, რომ ქ. მოსკოვში მთავრობათაშორისო მორიგ მე-15 სხდომაზე ხელი მოეწერა პროტოკოლს, რომელიც 2017-2019 წლებში ჩასატარებელი სამუშაოების გემის დამტკიცების საშუალებას იძლევა. ამის გარდა, ე.წ. პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, ოკუპირებული აფხაზეთისთვის, რუსეთის ფედერაციის დახმარება 500 000 რუბლით გაიზარდა და დაამატა, რომ არაღიარებული რესპუბლიკის რაიონების ხელმძღვანელებთან ერთად შემუშავებული გემის თანახმად, გუდაუთის რაიონში ჩასატარებელი სამუშაოებისთვის, რომელიც ითვალისწინებს, გუდაუთის რაიონში, წყალმომარაგების სისტემის აღდგენას, სკოლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობას სოფელ ლიხნში, გზების რეაბილიტაციას და მრავალ სხვა პროექტს გამოიყოფა 1 000 000 000 რუბლი.

---

27.06.2017 АИААИРА [http://aiaaira.com/news/economy/beslan\\_bartsits\\_osmotrel\\_rekonstruktsiyu\\_dorogi\\_vedushchey\\_v\\_selo\\_dzhirkhua/](http://aiaaira.com/news/economy/beslan_bartsits_osmotrel_rekonstruktsiyu_dorogi_vedushchey_v_selo_dzhirkhua/)

### **„აფხაზეთში გიდრომეტეოროლოგიური სამსახური გაუქმდა“**

ოკუპირებულ აფხაზეთში გიდრომეტეოროლოგიური სამსახური გაუქმდა, რომელიც ერთადერთი სტრუქტურა იყო, რომელიც კლიმატისა და ამინდის განვითარებისა და მდგომარეობის მონიტორინგს აწარმოებდა.

არაღიარებული რესპუბლიკის აწ უკვე ყოფილმა მთავარმა მეტეოროლოგმა ლევარდ ბარციცმა მომხდარის შესახებ განცხადება გააკეთა:

„სამწუხაროა რომ ასეთი რამ მოხდა. ჩანს, რომ სახელმწიფო ჩამოყალიბდა იმაში თუ რამდენად მნიშვნელოვანია აფხაზეთისთვის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია და ჩვენი შიდა წყლების პრობლემების შესწავლა“.

---

27.06.2017 АБХАЗИЯ-ИНФОРМ <http://abkhazinform.com/item/6078-v-abkhazii-likvidirovana-gosudarstvennaya-gidrometeorologicheskaya-sluzhba>

### **„აფხაზეთსა და რუსეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივები“**

2016 წლის ნოემბერში ოკუპირებულმა აფხაზეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერა „რუსეთისა და აფხაზეთის გაერთიანებული საჯარისო დაჯგუფების შექმნის შესახებ“ შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმება ორივე სახელმწიფოსათვის საშიშროების შექმნის შემთხვევაში ურთიერთდახმარებას და ერთობლივი სამხედრო სწავლებების ჩატარებას. ითვალისწინებს,

ოკუპირებულ აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზის საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის განცხადებით, „რუსეთისა და აფხაზეთის გაერთიანებული საჯარისო დაჯგუფების შექმნის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში იგეგმება ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებები-„აფხაზეთის მიმართ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებიდან შესაძლო აგრესიის მოგერიება“

საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ცნობით, მიმდინარე წელს დაგეგმილია ასამდე ერთობლივი სამხედრო-საველე წვრთნები.

---

27.06.2017 **АБХАЗИЯ-ИНФОРМ**<http://abkhazinform.com/item/6077-abkhaziya-i-rossiya-perspektivy-voennogo-sotrudnichestva>

### **„აფხაზეთის ტურიზმისა და კურორტების მინისტრმა ჟურნალისტებთან ისაუბრა“**

ოკუპირებული აფხაზეთის ტურიზმისა და კურორტების მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, დღევანდელი არაღიარებული რესპუბლიკა არსებობს რუსი ტურისტების მიერ კურორტებზე დახარჯული თანხებით და ახლო მომავალში სხვა დამატებითი შემოსავლის წყარო მოსახლეობისთვის არ ჩანს.

ავთანდილ გარცკიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადრე თუ გვიან ხალხს მოუწევს რეალობასთან შეგუება და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს.

დე-ფაქტო მინისტრი შეეხო ოკუპირებულ ყირიმსაც და აღნიშნა, რომ რუსეთისთვის მიტაცებული ყირიმი დიდი პოლიტიკაა და ის ყველანაირად შეეცდება მის შევსებას ტურისტებით, რაც ნიშნავს იმას, რომ ოკუპირებული აფხაზეთის პირდაპირი კონკურენტი, ტურიზმის სფეროში, ანექსირებული ყირიმი რუსეთისთვის პრიორიტეტულია.

ავთანდილ გარცკიამ დაამატა, რომ წლებანდელი სეზონის დაწყების ჩავარდნა ცუდმა მეტეო პირობებმა გამოიწვია და ფაქტიურად, მხოლოდ ივნისის ბოლოს დაიწყო ტურისტებმა ანექსირებულ აფხაზეთში შემოსვლა.

---

28.06.2017 **sputnik აფხაზია**<http://sputnik-abkhazia.ru/radio/20170628/1021338527/garckiya-abxaziya-dolzha-stroit-most-otnoshenij-s-turistami.html>

28.06.2017